ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების დისტანციური მონიტორინგის გავლენა ჯანდაცვის სისტემის ხარჯებსა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე

გიორგი ცინცაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი ცინცაძე

აბსტრაქტი

ქრონიკული არაგადამდები დაავადებები თანამედროვე ჯანდაცვის სისტემებისთვის ერთ-ერთ მთავარ კლინიკურ და ეკონომიკურ გამოწვევას წარმოადგენს. მათი მართვა მოითხოვს ხანგრძლივ მეთვალყურეობას, რეგულარულ ამბულატორიულ კონტაქტს, მკურნალობის კორექციასა და გართულებების ადრეულ გამოვლენას. არასათანადოდ მართული ქრონიკული დაავადებები ზრდის გადაუდებელი დახმარების გამოყენებას, ჰოსპიტალიზაციისა და რეჰოსპიტალიზაციის სიხშირეს, საწოლდღეების რაოდენობას და, შესაბამისად, ჯანდაცვის სისტემის ხარჯებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეფასდეს ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების დისტანციური მონიტორინგის პოტენციური გავლენა ჯანდაცვის სისტემის ხარჯებსა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე. ნაშრომში განხილულია ტელემედიცინისა და პაციენტის დისტანციური მონიტორინგის ისტორიული განვითარება, ქრონიკული დაავადებების მართვის გამოწვევები, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, ჰოსპიტალიზაციებთან დაკავშირებული სტატისტიკური ტენდენციები და ეკონომიკური შეფასების ძირითადი მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გულის ქრონიკულ უკმარისობას, როგორც მდგომარეობას, რომელიც დაკავშირებულია ხშირ ჰოსპიტალიზაციასთან, რეჰოსპიტალიზაციასთან და მაღალი ფინანსური ტვირთით.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საერთაშორისო მტკიცებულებების ანალიზი და ბიუჯეტზე გავლენის ანალიზის მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს დისტანციური მონიტორინგის დანერგვის პოტენციური ფინანსური შედეგები საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის. ნაშრომი აჩვენებს, რომ დისტანციური მონიტორინგი მოკლევადიან პერიოდში შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებით ტექნოლოგიურ ხარჯებთან, თუმცა სწორად შერჩეულ ქრონიკულ პაციენტებში მას აქვს ჰოსპიტალიზაციის, რეჰოსპიტალიზაციისა და რესურსების არაეფექტიანი გამოყენების შემცირების პოტენციალი. შესაბამისად, დისტანციური მონიტორინგი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ქრონიკული დაავადებების მართვისა და ჯანდაცვის ხარჯების ოპტიმიზაციის პერსპექტიული ინსტრუმენტი.

საკვანძო სიტყვები: ტელემედიცინა; დისტანციური მონიტორინგი; ქრონიკული დაავადებები; გულის ქრონიკული უკმარისობა; ბიუჯეტზე გავლენის ანალიზი.

Abstract

Chronic noncommunicable diseases represent one of the major clinical and economic challenges for modern health care systems. Their management requires long-term follow-up, regular outpatient care, treatment adjustment, and early detection of complications. Poorly managed chronic conditions increase the use of emergency services, hospitalizations, readmissions, bed-days, and overall health care expenditures.

The aim of this thesis is to assess the potential impact of remote patient monitoring on health care system costs and the efficiency of resource utilization among patients with chronic diseases. The thesis reviews the historical development of telemedicine and remote patient monitoring, the challenges of chronic disease management, international experience from different health care systems, hospitalization-related statistical trends, and the main mechanisms of economic evaluation. Particular attention is paid to chronic heart failure, a condition associated with frequent hospitalizations, readmissions, and a substantial financial burden.

The study applies an analysis of international evidence and a Budget Impact Analysis approach to estimate the potential financial implications of implementing remote patient monitoring in the Georgian health care system. The thesis suggests that remote monitoring may increase technological and implementation-related costs in the short term; however, when targeted at appropriately selected high-risk chronic patients, it has the potential to reduce hospitalizations, readmissions, and inefficient use of health care resources. Therefore, remote patient monitoring can be considered a promising tool for improving chronic disease management and optimizing health care expenditures.

Keywords: telemedicine; remote patient monitoring; chronic diseases; chronic heart failure; Budget Impact Analysis.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც, მეხმარებოდა ნაშრომის სრულყოფაში და მაძლევდა მითითებებს.